საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1902
25/03/2026

1902-01-2-202603251347

შპს „ჯორჯიასიბის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 406444959)

მისამართი: ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა №11გ, სადარბაზო №1, მე5 სართული, საოფისე ფართი №18

ტელ: +995 599 00 76 85

ელ-ფოსტა: info@georgiacb.com; info@trackings.ge

გაცნობებთ, რომ სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 9 თებერვლის №04/186 ბრძანებით, სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო), ნ[redacted] მ[redacted]ის (პირადი ნომერი [redacted]) 2026 წლის 13 იანვრის №01/197 განცხადების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის, შპს „ჯორჯიასიბის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 406444959) (შემდგომში – მოვაჭრე), მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

2026 წლის 18 მარტს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა შ[redacted] გ[redacted]ის (პირადი ნომერი [redacted]) №01/2481 განცხადება (ამავე დღეს აღნიშნულმა პირმა წარმოადგინა №01/2505 დაზუსტებული განცხადება), შპს „ჯორჯიასიბის“ მიერ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2026 წლის 9 თებერვლის №04/186 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო შ[redacted] გ[redacted]ის 2026 წლის 18 მარტის №01/2481 განცხადება.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი